IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

დეკემბერი, 2016

2016 წლის დანაშაულის სტატისტიკა და მისი ხელმისაწვდომობა



IDFI მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

1. *სრულად, თანამიმდევრულად და ყოველთვიურად გამოაქვეყნოს დანაშაულის მაქსიმალურად დეტალიზებული სტატისტიკა, რათა საზოგადოებას შეექმნას რეალური სურათი ქვეყანაში არსებული დანაშაულის მდგომარეობის შესახებ;*

2. *დეტალურად განუმარტოს საზოგადოებას, თუ რა მეთოდოლოგიურმა ცვლილებებმა განაპირობა 2013 წელს დაფიქსირებული დანაშაულის შესახებ სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებულ მონაცემებში რადიკალური განსხვავება;*

3. *შეასრულოს დანაშაულის კრიმინოგენული რუკის შექმნის ვალდებულება, რომელიც სამინისტრომ "ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის" ფარგლებში აიღო;*

4. *ყოველთვიურად მიაწოდოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დეტალური/ჩაშლილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები, ხოლო საქსტატმა თავის მხრივ უზრუნველყოს აღნიშნული მონაცემების საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.*

საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები 2008-2016 წლებში

საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშნელოვანი წყარო რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები დიდი ქართული დიასპორაა. თუმცა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით 2014 წლიდან რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად იკლებს, ხოლო გადარიცხული თანხები იმატებს. აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკის, მათ შორის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის, სტაბილურობაზე.

საქართველოს მთავრობის მიერ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების მიმოხილვა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის სტრუქტურულ მხარეზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ ის 5 გამოწვევას მოიცავს და ესენია:

გამოწვევა I: *საჯარო რესურსების გაუმჯობესება;*
გამოწვევა II: *საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება;*
გამოწვევა III: *საჯარო რესურსების უკეთესი მართვა;*
გამოწვევა IV: *უსაფრთხო გარემოს შექმნა;*
გამოწვევა V: *კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.*

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა

IDFI ითხოვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის და 44-ე მუხლის, ისევე, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

[თბილისის მთავრობამ “ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში 2017 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა]

თბილისის მთავრობამ 2017 წლის სამოქმედო გეგმა საერთაშორისო საზოგადოებას „ღია მმართველობის პარტნიორობის“ პარიზის გლობალურ სამიტზე წარუდგინა. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ ის 5 ძირითად ვალდებულებას მოიცავს, სახელდობრ:

ვალდებულება 1 - *ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმის - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი “SMART MAP”-ის დანერგვა;*

ვალდებულება 2 - *პეტიციის დანერგვა მერიის სისტემაში, ელექტრონული პეტიცია;*

ვალდებულება 3 - *ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა;*

ვალდებულება 4 - *ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიული ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების დანერგვა;*

ვალდებულება 5 - *სერვისების სამოქალაქო კონტროლისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების დანერგვა.*

[საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში - 2016 წელს]

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი საპარლამენტო პროექტის მხარდაჭერით და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) თანამშრომლობით, მოხდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის (www.parliament.ge) შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირებისთვის A საფეხურზე ოპტიმიზაცია. დღეიდან პარლამენტის ვებგვერდი საერთაშორისო W3 ხელმისაწვდომობის (W3 Accessibility) სტანდარტის A საფეხურის მოთხოვნებთან (WCAG 2.0) შესაბამისობაშია მოყვანილი და მაქსიმალურადაა მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლებისათვის.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება დანაშაულის სტატისტიკის გამოუქვეყნებლობასთან დაკავშირებით

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION IDFI

15 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

EMC Human Rights Education and Monitoring Center

განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ:

- შსს-სა და სტატისტიკის სამსახურს - განმარტონ რას უკავშირდება ის, რომ გასული წლების განმავლობაში, პოლიციის ყოველთვიური სტატისტიკა გამოქვეყნებული არ არის;

- შსს-ს - შეასრულოს 2010 წლის უწყებათაშორისი მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულება და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის მიზნებისათვის, ყოველთვიურად მიაწოდოს მემორანდუმით განსაზღვრული ინფორმაცია;

- შსს-ს - საზოგადოების ინფორმირების და გამჭვირვალობის მიზნით განაგრძოს საკუთარ ვებ-გვერდზე სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება.

ღია მმართველობის პარტნიორობა - გლობალური სამიტები და საქართველოს მიღწევები

2016 წლის 7-9 დეკემბერს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩატარდა "ღია მმართველობის პარტნიორობის" (OGP) მეოთხე გლობალური სამიტი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორისა და მთავრობების 3,000-მდე წარმომადგენელი ესწრებოდნენ. OGP-ის სამიტს ასევე ესწრებოდნენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) წარმომადგენლები.

"სამეურვეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორობის კანდიდატთა გასაუბრებისა და დებატების ტრანსლირება"

მნიშვნელოვანია კონკურსი წარიმართოს გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით, რომ არ დარჩეს კითხვები შერჩევის ობიექტურობასთან დაკავშირებით.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი

ბოლო პერიოდში, საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ. მაგალითად, 2015 წლის ბოლო თვეებამდე თბილისის საქალაქო სასამართლო მოთხოვნის შემთხვევაში, სრულყოფილი სახით გასცემდა სასამართლო გადაწყვტილებათა ასლებს, თუმცა მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2015 წლის ოქტომბრიდან, როდესაც დამკვიდრდა გადაწყვეტილებათა გაცემაზე პერსონალურ მონაცემების დაცვის არგუმენტაციაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა. შედეგად დღეის მდგომარეობით შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღება ისეთი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზეც.

„ღია მმართველობის“ დაჯილდოება და მისი გამარჯვებულები

20 16

OPEN GOVERNMENT AWARDS

პარიზში გამართულ ყოველწლიურ, გლობალურ სამიტზე ტრადიციისამებრ, „ღია მმართველობის“ დაჯილდოების გამარჯვებული გამოვლინდა.

ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით განხორციელებული საუკეთესო ინიციატივის გამოვლენის მიზნით, 2016 წლის დაჯილდოებაში 42 კონკურსანტი მონაწილეობდა, ხოლო გამარჯვებულად უკრაინის მიერ დანერგილი ვებ-პლატფორმა https://prozorro.gov.ua/ დასახელდა. Pro-Zorro წარმოადგენს ღია პლატფორმას, რომელიც კონტროლს უწევს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებს და შესყიდვებთან დაკავშირებულ მონაცემებს.